ეროვნული ბიბლიოთეკა


# სახალხო გაზეთი

## სურათებიანი დამატება

გაზეთის № 20. კვირა, 30 მაისი 1910 წ. დამატების № 3


# მსხვერპლი

დრამა 3 მოქმედებად, სოფლის ცხოვრებიდან.

(შემდეგი *)

## მოქმედება მესამე

მეორე და მესამე მოქმედების შუა გავა ორი კვირა.

(დეკორაცია იგივეა, როგორც პირველ მოქმედებაში. საქოს დუქანთან სხედან საქო, გაბუა, მიხა, სვიმონა. ნატო თავის სახლის დერეფანსა ჭგვის, რამდენჯერმე შეგა და გამოგა სახლიდან).

**სვიმ.** (საქოს) აბა საქოჯან, სხვას ვის უნდა მივმართოთ... ისევ შენ უნდა მოგვიმართო ხელი... მთელი სოფელი გთხოვს... გვასესხევი და ხომ იცი არსად გაგექცევით... ფეხი დაგვაჭირეს გინდა თუ არა ის ნაჭერი იყიდეთო... შენ კარგად იცი უიმ მიწოთ ვერ გავძლებთ... ის რომ დავკარგოთ, აბა სხვა ჩვენ მიწებში რაღა ყრია... ე რამდენიც შევძელით შევაგროვეთ... გვაკლია ორმოცდა-ათი თუმანი... თამასუქს მოგცემთ... ნუ დაღუპამ სოფელსა.. შენც ჩვენი ხარ... რაც ჩემი თავი მახსოვს, შენ სულ აქა ვაჭრობ... რასაც იგებ, ჩვენგან იგებ... თუ გავლატაკდით, შენც მოგება დაგეკარგება...

ლოდინი. სურათი ვ. მაკ-ევენისა.

**საქ.** რას ამბობ, ადამიანო, რასა?.. მაგოდენი ფული რა, ლობიოა თუ როგორ?.. მე და მაგოდენი ფული?.. გილდის კუპცებს არა აქვთ მაგოდენი ფული ახლა და საწყალ საქუას ექნება... ვა, მე, რომ ეგ ფული მქონდეს, აქ დავდგებოდი?.. ვალით ყელთამდინ სამსე ვარ... ამოდენმა ნისიებმა ხო ძალა წაიღეს... შენკი მაგოდენა ფულს მესესხები...

**მიხ.** აბა რას ლაპარაკობ, თუ ღმერთი გწამს... ფული არა მაქო... ეს ხომ ვიცით ფული კარგად ბლომად გიყრია... მაგრამ ეგ ჩვენი საქმე არ არის... სოფელი გთხოვს გვასესხეო, გვიპირსო... თუ ჩვენ შენ გაცხოვრებთ, თუ ჩვენი ოფლითა და შრომით სარგებლობ, ზოგჯერ მაინც ჩვენც უნდა გვიშველო ხოლმე... ხომ იცი სხვა სოფლებში ყველა მედუქნეებს ხალხმა თავის სასარგებლოდ წლიური გადასახადი დაადო. ჩვენ კი შენ არას გართმევთ... ძმაო, თუ ჩვენში ვაჭრობა არა გაქვს, და მარტო ზარალი მოგდის, წადი მოგვშორდი... ხვალვე სხვა დადგება და სოფლის სასარგებლოდაც რასმე გამოიღებს... ჩვენ საჩუქარს ხომ არა გთხოვთ. გეუბნებით გვასესხეო... ე სარგებელიც რაც წესია და რიგი აიღე... ხომ კარგათ იცი, ხო სოფელი გადიხდის დროზე, მოსავალს წელს არა უჭირს რა, გავლეწამთ, ზოგი ქერს, ზოგი ბზეს გაჰყიდის... შევაქუჩებთ და შენ შენი ჩაიბარე...

**საქ.** ეს კიდევ თავისას გაიძახის... ადამიანო! ჩემ ჯიბეში ხომ არა ზიხარ... ეს ოხერი რაც არა ყრია არა ყრია... ვა, ხაზინა მე დამრჩენია თუ როგორ არი... ვერა ხედამ დუქანი ცალიერი გდია... საიდან და რა?..

**გაბო.** მოიცა, თუ ღმერთი გწამს... ეს მიწა ხომ კნიაზისგან უნდა ვიყიდოთ არა?.. იმ კაცს ფული უჭირს, ქალს ათხოვებს. თუ ჩვენ არ ვიყიდით, სხვებზე გაჰყიდის, ეგ ხომ ეგრე იქნება... მაშინ სოფელი რაღას იზამს?.. სულ დავიღუპებით... შენ თითონ იძახი სოფელზე ბევრი ნისიები მაქვსო, და ეს ტიალი, თუ კი ჩვენ საცხოვრებელს დავკარგამთ, ეს შენი ნისიები სიადამღა უნდა გაგინაღდოთ?. სულ არ დაიკირგება... შენ იძახი ფული არა მაქვსო... კარგი. ვთქვათ მაგდენს ვერ გაიმეტებ რომ ნაღდი მოგვცე... ე ოც თუმანს ხო მოახერხებ, არა?..

**მიხა.** მერე ოკი თუმნით რა უნდა გავხდეთ?.. ოცდაათი სადღა ვიშოვნოთ?..

*) იხ. სურათებიანი დამატება № 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გაბ.** დამაცადე, მაგასაც გასწავლი... ეგ შენი ოცი თუმანი არა?.. კარგი ახლა ი კნიაზს, ხომ ვიცით, ნისია და ფულიც ბლომათა მართებს შენი. საქო, არა?.. ოცდა ათ თუმანზე მეტი თუ არა ნაკლები არ იქნება... აი, ადამიანო, გაუბარე მაგ ვალში ი ჩვენი ფულიდან ოცდა ათი თუმანი, ოცი თუმანიც ნაღდი დაადე, ჩვენც გვიშველი, შენც კარგათ მოიგებ... ორმოცდა ათ თუმნის ბარათს მოგცემთ, სარგებელსაც ზედ მივალ-ოთ...

**სვიმ.** აი გიშველა ღმერთმა!.. აბა, საქოჯან, უნდა დასთანხმდე... არ შეიძლება!.. ი მიწა რო დავკარგოთ, თუნდ სიცოცხლე დაგვიკარგამს... კაცო, მამა პაპით იმ მიწას ვხმარობთ. ჩვენი ოფლი, სისხლი სულ მანდ არის ჩაღვრილი, და ეგ რომ ხელიდან გამოგვეცალოს, რაღა უნდა ვქნათ?..

**საქო.** ვა, ე ხალხი გაგიჟებულა?.. კაპეიკი არ მაბადია, უფლის მადლმა, ოცი თუმანი მოგვეცოო...

**მიხა.** არც ის გინდა, არც ეს... მაშ დუქანს თავი დაანებე... არ მოგცემთ ნებას ივაჭრო... წადი საცა გინდა... ან არა და ორმოცდა ათი თუმანი გადაიხადე სოფლის სასარგებლოთ... მართლა ის ხომ არა გგონია... სოფელს კიდე ბევრი ძალა აქვს... შენისთანებს კიდე მოუვლის...

**საქო.** კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს!.. შენც მეორე ტეტიანთ გიგუა გამიხდი ვა ვინც არა მგონია სულ საქოს აშინებს... ქეციანი ვირი ხომ არა გგონივართ... მეც კაი წიხლი ვიცი... ვა, ეს კაი ამბავია... მოდის ფულსა მთხოვს და კიდეც მაშინებს...

**გაბო.** დაიცა, დაიცა საქო! ნუ ჯავრობ... ბიჭს ცოტა გული გატეხილი აქვს... ბრაზზე ადვილათ მოდის... რაც ის უბედური ვანუა ჩამოახრჩეს გული გულის ალაგას ალარ არი... ე მიხაც აბა იმის ძმათ ნაფიცი იყო... ნუ გაჯავრდები... აბა იმ უბედურმა სიცოცხლეც და სახელიც სოფელს შესწირა... ეს ხომ ვიცით მართალია ვაჭარი-მედუქნე ხარ, მაგრამ მაინც კეთილი გული გაქვს... განა არ ვიცით იმ საცოდავის დედას როგორ შველოდი, და შველი კიდეც... მოდი და იმის სახელობაზე, იმის სულის გასახარებლათ სოფელს უშველე... უმანკო მსხვერპლი იყო და იმისი მადლი ბევრ წყალობას მოგცემს...

**საქო.** მედაჩემმა ღმერთმა, ქრისტეს გეფიცები... ისე მენანება, ისე მენანება, აი არ დაიჯერებ, როგორც ნამდვილი ძმა... ჰეი გიდი! ვინ დაარჩენს, ვინ არხეინათ დადის... უფალს გეფიცები აი იმის სულის მოსახსნებლად, აბა, დეე აგრე იყოს: ი ნისიას გამოუბრი კნიაზს, ერთ მანათსაც ჩემსას დავადებ, ეგ იმ უბედურის სულის მოსახსენებლად იყოს... მაგრამ ი ოცი თუმნისა რა გიყოთ, მაგდენი მე სადა მაქვს...

**გაბუა.** გიშველა ღმერთმა!.. მაგრამ თუ მადლსა შვრები მარილიც მოაყარე... ეგ ოცი თუმანიც უნდა საიდმე გვიშოვო...

**საქო.** აბა, გაბოჯან, უფლის მადლმა არა მაქვს, უნდა სხვას გამოვართო, და ხომ იცი კაი სარგებელიც მოუნდება...

**გაბუა.** აიღე, შენი ჭირიმე... რაც წესი და რიგია... ჩვენ ხომ უარს არ ვამბობთ...

**საქო.** ჩემი რო იყოს, უფლის მადლმა, აბა რა სარგებელი მინდოდა, მაგრამ სხვას უნდა გამოვართო... ხომ იცი ფულის სიძვირეა... ნახევარ წლით არ გინდათ?.. მანათზე ექვს შაურ ნაკლებ არავინ დაგჯერდებათ...

**სვიმ.** რას ამბობ, კაცო... ვის გაუგონია?.. მოდიდა სიკეთეს გვიშვრები... აჰა სამი შაური აიღე...

**საქო.** მე რა უნდა ავიღო... ჩემსას ხომ არ გაძლევ... ნაკლებს არავინ დასჯერდება, თელეთის მადლმა...

**გაბ.** ცოდოა, ცოდო, საქოჯან!.. საწყალი ხალხის ცოდო რათ გინდა?.. მოდი აჰა აბაზი იყოს...

**საქო.** კარგი, ეგეც თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს... იქნება ხუთშაურს დამჯერდნენ...

**მიხა.** კაცო, ქრისტე ალარა გწამს... მანეთზე ნახევარ წელში ხუთი შაური გაგონილა?..

**საქო.** რა ვქნა ნაკლებათ არავინ მომცემს... გინდათ აიღეთ...

**გაბო.** კარგი, აბა რას ვიზამთ, ყელზე თოკი გვიჭერია... საქოჯან თუ ძმა ხარ, თუ ცოტა მაინც გებრალება საცოდავი სოფელი, მოდი აბაზი იყოს...

**სვიმ.** ჰო, კარგი. რაღა ლაპარაკი უნდა... მოიტა ხელი საქო... აბაზად უნდა გვიშოვო...

**საქო.** არა, უფლის მადლმა, არავინ მომცემს... მოდი ორი კაპიკიც დაუმატეთ...

**გაბუა.** ე, საქოჯან, ორ კაპეიკზე რაღა გალაპარაკებს... მოდი, აჰა ხელი, აბაზი... აბაზიც სამყოფია...

**საქო.** ე—ე, შე კაი კაცო, აბა ძალად მითანხმებ რაღა... აჰა ესეც თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს... სოფლისთვის, სოფლისთვის, გაბუას მზემ აი... აბა ეხლა რა იქნება, და ხვალ კნიაზს ი ნისიაზედაც მოველაპარაკები და ე ფულიც სადმე მეგულება. ზეგ ქაღალდი დავწეროთ...

**სვიმ.** აბა მაღარიჩიც შენი იქნება, საქოჯან...

**საქო.** ვა, ვა! სადაურია, ძმაოჯან, ფულსაც მე მართმევთ და მაღარიჩიც ჩემი უნდა იყოს?.. ერიჰა, ეგ სად წავა?...

**გაბ.** არა უშავრა, მაღარიჩი ჩვენზე იყოს... აი ქაღალდს დავწერთ, და მაღარიჩიც მაშინ იქნება... დღეს კი, საქო, ე ხელის ჩამორთმევისა კი შენი უნდა იყოს...

**საქო.** მიირთვით, მიირთვით, თქვენი ჭირიმეთ!.. განა ეგეც რომ არ იყოს... რატომ... (დუქანში შესძახებს) ბიჭო, შაქრო!.. მოიტა ე ხელადა ღვინო... ქვეით ტიკიდან ჩამოასხი... მწვანილიც, პური... აბა ხელათ... ჭიქაც არ დაგავიწყდეს...

**მიხა.** მაშ ეგრე, ზეგ გავათავებთ.., გაგიმარჯოთ! (უნ. და წავიდეს).

**საქო.** ვა, მიხაჯან, არა მკადრულობ, თუ როგორ არი... მობძანდი... ერთი სტაქანი მაინც მიირთვი...

**მიხა.** მადლობთ... არა მცალიან...

**გაბ.** მოდი, მოდი, შვილო! ცუდს არას ვაკეთებთ... კაი საქმე გავარიგეთ... (მიხა დაბრუნდება, მიუსხდებიან უჯდანი სტოლს... შაქრო კამოიტანს დვინოს, მწვანილს და პურს).

**საქ.** (დასხამს დვინოს და მიაწვდის გაბოს) აბა, გაბოჯან... ერთი დაევლოცე კარგათ...

**გაბ.** მიირთვი, მიირთვი, უფრო კაი ხელს უჭირავს... (ერთმეორეს დვინოს, გადიწერს ბირჯვარს) ღმერთო, უფალო! შეგვიწყალე ჩვენ... ღმერთმა აცხონოს ჩვენი უმანკო ბიჭის, უბედურ ვანუას სული (დაწვეთებს პურს) იცოცხლეთ... გაგიმარჯოთ... კეთილი იყოს ჩვენი საქმე... (დაჯდეს და გადაწვდის საქოს ჭიქას)

**საქო.** გადღეგრძელა ღმერთმა. (დასხამს და სვიმონს) აბა, სვიმონჯან, მიირთვი...

**სვიმ.** მიირთვი თავად საქოჯან... (იღებს ჭიქას) გაგიმარჯოთ, კეთილად გამყოფოთ... დაილოცოს ჩვენი საქმე... (დაწვეთებს პურს) ღმერთმა აცხონოს უბედური ვანუას სული... შეგეწიოთ წმინდა გიორგის მადლი... (დაჯდეს და ჭიქას დასდგამს).

**საქო.** (დასხამს და გადაწვდის მიხას) მიხაჯან!.. აბა ერთი შენც მიირთვი... უფლის მადლმა შენ კაი ბიჭი ხარ აი... ცოტა ფიცხი ხარ თორემ, თელეთის მადლმა, ძაან მიყვარხარ აი... აბა მიირთვი შენი ჭირიმე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მიხა.** მიირთვი, მიირთვი... მე მერე გიახლებით...

**საქო.** დალიე, დალიე მიხაჯან... პატიოსანი კაცი ხარ უფლის მადლმა...

**მიხა.** ღმერთმა ჩვენ ერთობას გაუმარჯოს, საცოდავ, ლატაკ, ჩვენ ძმა გლეხს მოუმართოს ხელი... იცოცხლეთ, გაგიმარჯოთ... (დაჯდეგს)

**საქო.** (დასხდამს) უფალმა გაცოცხლოთ... შეგეწიოთ თელეთის მადლი... გადღეგძელოთ... (დაწვეთებს ჭურჭე) იმ უბედურის სულიც ღმერთმა აცხონოს... გაგიმარჯოთ...

**ყველანი.** გაგიმარჯოს... იცოცხლე...

**სვიმ.** ე გიგუა კი არ სადა ჩანს, კაცო... მაგ ბიჭს რაღაცა ემართება... როგორღაც გადარეულსავით დადის... არც არავის ეკარება... რავიცი რაღაცას ლაპარაკობენ... ძაან ცუდათ არიო.

**საქო.** ადამიანო! უსვინიდისო კაცს მოსვენება ექნება?.. ჰოი, ერთი მაგ არამზადას ჯავრი ამომაყრევინა, და უფლის მადლმა, არას დავზოგამდი... ჯერ დაიცადე ბევრი რამ გამოჩნდება... იმ დღეს, კაცო, დუქანში შემომივარდა, უფალს ვფიცამ ნამდვილ მგელ-კაცას გვანდა, აი!.. „არაყიო!“ ვა, ვამბობ ამ ოხერ ყურუმსაღს სულ ნისია ვაძლიო, მერე როდისღა გამოვართო... მაგრამ რას ეტყვი, კაცო, ცოფიან ძაღლს?.. ორი ჩაის სტაქანი ზედი ზედ გადაჰკრა, ღმერთის მადლმა... მე, გამიწყრა ღმერთი, ერთი კი უთხარი: კაცო, გროშები ხომ არ გექნება მეთქი?.. ისე დამიბღვერა, თითქო გველმა უკბინაო... „ხომ არ გინდა ეგეც წაგართოო, რაცა გაქვსო... ამოდენა ხალხსა სცარცვამო და ერთხელ მე გაგცარცოო... კაცო, ხალხნო, აბა ვისთვის რა წამირთმევია, ვინ გამიცარცვამ?.. ვა, ვამბობ, ეს რა ოხრობა გადამეკიდა მეთქი... აჰა, ძმაო მეთქი, კიდე მიირთვი მეთქი... ერთი სტაქანი არაყი კიდე დაუსხი... განა შერცხვა თუ იმ პირშავს?.. ისე გადაყლაპა, ვითომც აქ არა ამბავიაო... ვა, გაგონილა ამისთანა ოხრობა... ვა, მე იმის მოურავი ვარ თუ როგორ არი... კაცო. მთელი ღამე მოსვენება არა მაქვს... მთელი დღე სადღაც დეეთრევა... მოვა საღამოთი, და მთელი ღამე არა სძინამს... როგორც ეშმაკი თავის სახლის გარშემო ხეტიალობს... ოხერი ფეხს არ დაუყენებს... ვა, ვფიქრობ... ერთი რო ბნედამ მოუაროს, აქ შემომივარდეს, რა უნდა ვქნა მეთქი... აბა ხომ იცი პოლიციის შიშით ერთი დაჟანგებული ხანჯალიც არ მიგდია, რა უნდა გააწყო... იმ უბედურ ვანუას დაღრჩობის მერე ხომ სულ გაგიჟდა... იმ თავის საცოდავ დედაკაცს ხომ ჰკლამს და ჰკლამს... ვა, ვა, რა ამბავია ხოლმე აქ, რო დაინახო... ლანძღვა, გინება... უფლის მადლმა მეიდნის მამალი კინტუა ვერ შეიგინება აგრე აი... უკაცრაო პასუხია დედას, მამას, მკვდარ და ცოცხალს სულ შიგ აურევს ხოლმე... ხან და ხან მიბეგვამს ხოლმე კიდეც... იმ დღეს ჩემი შაქრუა ლაპარაკობდა, ძაან ჩხუბი ჰქონდათო... (გაბუას მიაწვდის ღვინოს) აბა, გაბოჯან, მიირთვი... მე აქ არ ვიყავი... ცოლი ეუბნებოდაო: მეზიზღებიო, შენ ხელები სისხლში გაქვსო მოსვრილიო... შენ კაცი კი არა ნადირი, ქაჯი ხარო, უფლის მადლმა... შენ დაღუპე ის კაციო.. ვინ კაცი, ეგ კი ვერ გაუგონია შაქრუას... მოჰკიდებია ცეცხლი ამ ცოფიან მგელს, მივარდნია... ჰაი ფე კახპა, უნამუსოო... შენ ის გიყვარდაო, უტაცნია ხანჯლისთვის ხელი, და ი დედაკაცი რომ სახლში არ შევარდნილიყო და კარი არ ჩეკეტა, ნამდვილათ მოჰკლამდაო... რა ვიცი, ცოდოს როგორ დავიდებ, უფლის მადლმა ისეთი ჩუმი და პატიოსანი დედაკაცია, ღვთის მადლმა არაფერი არ შემიმჩნევია... ერთი უნდა ნახო რას დეემგზავსა, სულ დადნა აი... თელეთის მადლმა იარმუკის გამხმარი რებეცი იმაზე მსუქანია... მოჰკლამს, მოჰკლამს, უფლის მადლმა... ვა, ვა გაგონილა ასეთი საქმე... ვერ იქნა კაცო, ვერ გავიგე ის ვიზე ლაპარაკობდა: შენ დაღუპეო, ხელები სისხლში გაქვსო... ვამბობ, კაცო, ვინ უნდა იყოს მეთქი... გახსომს გაზაფხულზე ვართაპეტას რომ მიუცვივდნენ და მოჰკლეს, აი ნახამ თუ მაგის საქმე არ იყოს ეგა...

**ინგილოური ტიპები.**
ინგილო ქალიშვილი ს. კაკიდან, სრულ ინგილოურ ტანისამოსში.

**გაბო.** მაგ ნადირისაგან ყოველისფერი მოსალოდნელია... გული მთქვამს იმ უბედურ ვანუას საქმეში მაგას რაღაც კუდი უდევს... მე მაგისი არა დროს არც ერთობა მწამდა და არც ხალხისთვის ზრუნვა... ე—ეხ, ტყუილია იმ უბედურ ვანუასთანა... აი ე ჩვენი მიხა თუ ჩადგება იმის ფეხი, თორემ ამ ჩვენ ბიჭობაში ბევრი არა ყრიარა... სულ გაირყვნენ, გასაძაგლდნენ... არც ერთი ერთმანეთის გატანა, არც სოფელს არას არგებენ... გაფუჭდა, გაფუჭდა ქვეყანა...

**მიხა.** რას იზამ ძია, ისეთი დრო დადგა... ხულიგნებით აიმსო ქვეყანა...

**სვიმ.** რა ვიცი, ე გიგუა თითქო შაგნებული ბიჭი იყო... იძახდნენ კამიტეტშიაც კი დაიარებოდაო... რა ღმერთი გაუწყრა, ვერ გამიგია...

**საქო.** ადამიანო! რას ამბობ?.. მაგისთანა მგელს კამიტეტთან ახლო კი მიუშვებდნენ... განა მართლა ეგრეც არი... ღვთის მადლმა, იქაც ნასწავლი, ჭკვიანი ხალხი უნდა იყოს, თორემ განა როგორ მოახერხებდნენ მთელი ქვეყნის გადარევას... რის კამიტეტი, რის ერთობა მაგისთვის... ნამდვილი რაზბონიკ-ყაჩაღია, ღმერთის მადლმა... აბა სვიმონჯან მიირთვი (დასხდამს და მიაწვდის).

**სვიმ.** კიდევაც იცოცხლეთ... ეს ღმერთმა აცოცხლოს ის კაცი, ვისაც სოფლისთვის, ხალხისთვის გული სტკივა... (სვამს... შემოდიან მამასახლისი და ჩოხაშვილი.)

**საქო.** (იმათ) ო—ო, მომსვლელთ გაუმარჯოთ... სიდედრს ჰყვარებიხართ აი ჩემმა მზემ... მობძანდით შენი ჭირიმე (ყველანი წამოდგებიან).

**მამ.** კამპანიას გაუმარჯოს... მაშ როგორც ვატყობ საქმე გაგითავებიათ კიდეც... თორე აი პრისტავს გამოუგზავნია, შეიტყეო, ყიდულობენ თუ არა მამულსაო, თორემ მე თითონა მყავსო მსყიდველებიო...

**სვიმ.** ვყიდულობთ მაშა... აი ღმერთა უშველოს საქოს, ხელი გაგვიმართა... (ჩოხაშვილი ყველას ხელს ჩამოართმევს).

**მამ.** (საქოს) აი გიშველა ღმერთმა, საქო (სხდებიან ყველანი).

**მიხ.** ძლიერ ეჩქარება ჩვენ პრისტავს... ი კნიაზი მზითვათ მამულს აძლევდა, „არაო ნაღდი მინდაო, მამული რათ მინდაო... იმიტო ყიდის ი კნიაზი...



სანგილოში: ბრინჯის სანაყი წყლის დინგი.

**საქო.** ცოტა მზე მოგვადგა... ისევ გრილოში, დუქნის უკან ბალჩაში მობძანდით... ბიჭო, შაქრო! აბა ერთი მწვადები ააგე ე მანდ სუკის ნაპერია... (შვდენ ჭუჭელანი დუქანში. ცოტა ხანს უკან შემოდის გიგუა. ნატო, ,,რომელიც" დერეფანში იყო შევა სახლში. გიგუა ჩამოჯდება დერეფანში ტახტზედ)

**გიგუა.** (ცოტა სიჩუმის მერე) არც დღისით, არც ღამით მოსვენება არა მაქვს... რაღაც მემართება... თავი ლამის არი გასქდეს... ვისაც კი შევხვდები, ვინც კი დამელაპარაკება... ყველგან იმის სახელი ისმის... იმას ლოცულობენ, აქებენ, ადიდებენ, აღმერთებენ... მთელი დღე დავეთრევი, ღამე ვერ დამიძინია... სულ თვალ წინ მიდგია... რა ძნელი ყოფილა ეს ოხერი... იმ დღიდან რაღაც მომაწვა ზურგზე. და დღითი დღე როგორც თოვლის გუნდი, იზდება, მძიმდება... იქცევა ზვავათ... მაწვება... აი ახლა ისე მომაწვა, რომ დამცა რაღა დედა-მიწაზე... ვგრძნობ ვილრჩობი... საცაა გამჭყლეტამს, გამსრისამს, და მაინც კიდე ვფოფხამ, ვბობღამ... ვეპიდები მიწას... ო—ოხ, არ სჯობს ერთი დაკვრით გავათაო... განა იქ, ჯოჯოხეთში ამაზე მეტი ტანჯვა შეიძლება... მაგრამ რა ტანჯვამ უნდა შემაშინოს... ეს ოხერი ჩემი სიცოცხლე, აბა რაღა სიცოცხლეა, სიკვდილი ათას წილად მირჩევნია... მაგრამ კიდე მაინც რაღაცას ვეპიდები, ვერ გამიბედნია... მეშინიან?.. რისა?.. ამაზე მეტი ხომ არა დამემართებარა... (ცოტა ხანს გაჩუმდება) მე თითონ ძმობას, ერთობას, ამხანაგობას ვქადაგობდი, და აი მე თითონვე სად მივაღწიე... ჩამოაღრჩეს, რათა რისთვის?.. ვინ არი დამნაშავე?.. ვინ ჩამოაღრჩო?.. რაზ გასწირა თავისი თავი?.. ჩემთვის?.. მე დამიხსნა?.. ვაი ამ დახსნას... მაგრამ მე ხომ არ ვთხოვდი მაგას?.. ჰა, ჰა, ჰა, კიდეც რომ თავს ვიმართლებ... წუხელ ძილში ნატო სულ იმის სახელს იხსენიებდა... მაგრა ეძინა... ორჯელ სამჯერ დაიძახა, რაღაც ღიმილი, თითქო სიტკბოება ემჩნეოდა... რატომ არ დავკარ მაშინ შიგ გულში დანა?.. ხელი ამიცახცახდა, თვალწინ მომელანდა საშინელი დალურჯებული სახე, გადმოჭყეტილი თვალები, გადმოგდებული ენა... დანა ხელიდან გამვარდა... ვერ გავბედე... ნუ თუ მღალატობდა?.. ნუ თუ მატყუებდა?.. მაშ თუ კი ჩემ ოჯახში იმან ჩემი ალაგი დაიჭირა, რატომ ჩემივე მაგივრათ საღრჩობელაზე ღაც არ უნდა ასულიყო?.. მაგრამ მე რასა მშველის ეგა?.. გინდა ,,ეგ" აგრე ყოფილიყოს მე ხომ ,,ეინც" და ,,ეინც" შევშინდი... იმ დროს როცა ის გაბედულათ, ვაჟკაცურად, გმირულად გამოვიდა, და განგებ ბრალი იდო თავზე, მე... მე?.. მე დავიმალე... გაჩუმებული ვიყავი... გულში ისეთი ცეცხლი მიხურის, ისე ვიწვი და ტანზე კი სულ მცივა... სულ ვკანკალობ... ვგრძნობ თავი მისივდება, ყელი მიშრება... სუნთქვა მეძნელება... არც ძილი, არც მოსვენება... ეს ტიალი არაყიც აღარ მეკიდება... ვისხამ და ვისხამ, მაგრამ უფრო თითქოს ვფხიზლდები, უფრო ცხადათ ყველაფერი მეჩვენება... ვფიქრობდი, დავანებებ ყველაფერს თავს, წავალ თოფს მხარზე გადვიგდებ, ან მე მომკლამენ ან მე მოვკლამ მეთქი ვისმე... ბევრნი გავიდნენ ეგრე ჩვენები... მაგრამ ეს ტანჯვა მაინც ხომ არ მომშორდებოდა... რაც იყო იმას ხომ ველარ მოვშლიდი, ვერ გავასწორებდი... მორჩა, გათავდა შველა აღარ საიდ არის... იმის სახლის გვერდზე ვერ გამივლია შიშით... ასე მგონია რაღაც წამომაჯდება მეთქი კისერზე, მომიჭერს კლანჭებს, ძალით პირს დამაღებინებს და დამაღრიალებს. რომ... რომ მე... მე ჩავიდინე ეგ ყოველისფერი... (კამოდის ნატო, მიდის დერეფნის მეორე მხრისაკენ).

**გიგუა.** (ნატოს) აქ მოდი!.. (ნატო დაბრუნდება) მიეკი?..

**ნატო.** არ აიღო...

**გიგო.** რატომ?.. არ გესმის, რო გეუბნები (მოდგება და მიუახლოვდება) თქვი რაღა...

**ნატო.** ნუ მეკითხები... სჯობს რომ არა გითხრა რა...

**გიგო.** თქვი, მე გეუბნები რომ თქვი...

**ნატო.** შენ ეგრე გინდა, და აჰა! „სისხლის სუნი უდიოსო...

**გიგუა.** (სტაცებს ხელს) შენ ეტყოდი რასმე?.. საიდან... რა უნდა იცოდეს იმან?..

**ი. გედევანიშვილი.**

(შემდეგი იქნება)

საინგილოში მერვე საუკუნეში მეფე არჩილის მიერ ს. ლეკემში აშენებულ ეკკლესიის ნანგრევები. ზედ ფათალო ამოსულა და ჰფარავს ეკკლესიას.

რედაქტორ-გამომცემელი დ. ხრამელაშვილისა ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სინათლე", ტფილისი, რუსის ქუჩა. № 3